

2009 წლის 9 ოქტომბრის

### კომისიის გადაწყვეტილება

სავიზო საინფორმაციო სისტემაში ბიომეტრიული იდენტიფიკაციისა და დადასტურებისთვის თითის ანაბეჭდების რეზოლუციისა და გამოყენების მახასიათებლების დადგენის შესახებ

(შეტყობინებული დოკუმენტით C(2009)7435)

(მხოლოდ ბულგარულ, ჩეხურ, ჰოლანდიურ, ესტონურ, ფინურ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, უნგრულ, იტალიურ, ლატვიურ, ლიტვურ, მალტურ, პოლონურ, პორტუგალიურ, რუმინულ, სლოვაკურ, სლოვენურ, ესპანურ და შვედურ ენებზე არსებული ტექსტები არის ავთენტური)

(2009/756/EC)

ევროპულ თანამეგობრობათა კომისიამ,

ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების გათვალისწინებით,

სავიზო საინფორმაციო სისტემისა და მოკლევადიან ვიზებთან დაკავშირებით შენგენის სახელმწიფოებს შორის სავიზო მონაცემების გაცვლის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის (EC) No 767/2008 რეგულაციის (სავიზო საინფორმაციო სისტემის რეგულაცია) [\(1\)](#), განსაკუთრებით, მისი 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით,

ვინაიდან,

(1) სავიზო საინფორმაციო სისტემის [\(2\)](#) დაარსების შესახებ საბჭოს 2004 წლის 8 ივნისის 2004/512/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, , სავიზო საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს წევრ ქვეყნებს შორის სავიზო მონაცემების გაცვლის სისტემას და მისი შემუშავება დაევალა კომისიას.

(2) (EC) No 767/2008 რეგულაციი განსაზღვრავს სავიზო საინფორმაციო სისტემის მიზან, ფუნქციება და პასუხისმგებლობებ და ადგენს წევრ სახელმწიფოებს შორის სავიზო მონაცემების გაცვლის პირობებსა და პროცედურებს, სავიზო განაცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების გამარტივების მიზნით.

(3) სავიზო საინფორმაციო სისტემის შემუშავებისთვის ბიომეტრიული მახასიათებლების სტანდარტების ტექნიკური პირობების დადგენის შესახებ კომისიის 2006 წლის 22 სექტემბრის 2006/648/EC გადაწყვეტილების თანახმად [\(3\)](#), დამატებითი მახასიათებლების შემუშავება მოხდება შემდგომ ეტაპზე.

(4) ამჟამად, აუცილებელია სავიზო საინფორმაციო სისტემაში ბიომეტრიული იდენტიფიკაციისა და დადასტურებისთვის თითის ანაბეჭდების რეზოლუციისა და გამოყენების მახასიათებლების შედგენა.

(5) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომეტრიული მონაცემები იყოს მაღალხარისხიანი და სანდო. შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს ტექნიკური სტანდარტები, რომლებიც ხარისხისა და სანდოობის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ერთი თითის ანაბეჭდით შემოწმებასთან შედარებით, ოთხი თითის გამოყენებით დადასტურებას მცდარი უარყოფისა და მიღების შეუძლებლობის სიხშირე შედარებით დაბალი აქვს. აქედან გამომდინარე, ცენტრალურ სავიზო საინფორმაციო სისტემას მონაცემებზე წვდომისათვის ბიომეტრიული დადასტურება, ოთხი თითის ანაბეჭდის გამოყენებით უნდა იყოს შესაძლებელი.

(6) ეს გადაწყვეტილება ახალ სტანდარტებს არ ქმნის; ის შეესაბამება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს.

(7) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ და ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, დანიას არ მიუღია მონაწილეობა (EC) No 767/2008 რეგულაციის მიღებაში და შესაბამისად, არ არის ვალდებული ან დამოკიდებული მის გამოყენებაზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ (EC) No 767/2008 რეგულაცია ეყრდნობა შენგენის კანონმდებლობას, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების IV თავის III ნაწილის დებულებების თანახმად, დანიამ, ზემოაღნიშნული ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, 2008 წლის 13 ოქტომბრის წერილით, ამ კანონმდებლობის თავის ეროვნულ კანონმდებლობაში აპროქსიმაციის შესახებ განაცხადა. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, მას ამ გადაწყვეტილების შესრულება ევალება.

(8) საბჭოს 2000 წლის 29 მაისის 2000/365/EC გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც ეხება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თხოვნას შენგენის კანონმდებლობის რამდენიმე დებულებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით [\(4\)](#), გაერთიანებულ სამეფოს (EC) No 767/2008 რეგულაციის მიღებაში მონაწილეობა არ მიუღია და ვალდებული ან დამოკიდებული არ არის მის გამოყენებაზე, რამდენადაც ის წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების განვითარებას. შესაბამისად, გაერთიანებული სამეფო არ არის წინამდებარე გადაწყვეტილების ადრესატი.

(9) საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის 2002/192/EC გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც ეხება ირლანდიის თხოვნას შენგენის კანონმდებლობის რამდენიმე დებულებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით [\(5\)](#), ირლანდიას (EC) No 767/2008 რეგულაციის მიღებაში

მონაწილეობა არ მიუღია და ვალდებული ან დამოკიდებული არ არის მის გამოყენებაზე, რამდენადაც ის წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების განვითარებას. შესაბამისად, ირლანდია არ არის წინამდებარე გადაწყვეტილების ადრესატი.

(10) წინამდებარე გადაწყვეტილება წარმოადგენს აქტს, რომელიც შენგენის კანონმდებლობას ეფუძნება ან მას სხვაგვარად, 2003 წლის მიერთების აქტის მე-3 მუხლის მეორე პუნქტისა და 2005 წლის მიერთების აქტის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში უკავშირდება.

(11) რაც შეეხება ისლანდიასა და ნორვეგიას, წინამდებარე გადაწყვეტილება წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების განვითარებას ევროკავშირის საბჭოსა და ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც ეხება ამ უკანასკნელი ქვეყნების ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის განხორციელების, გამოყენებისა და განვითარების პროცესში<sup>(6)</sup>; რაც მიეკუთვნება საბჭოს 1999 წლის 17 მაისის 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის ბ პუნქტში აღნიშნულ სფეროს, ზემოხსენებული ხელშეკრულების გამოყენების გარკვეულ პირობებთან დაკავშირებით<sup>(7)</sup>.

(12) რაც შეეხება შვეიცარიას, წინამდებარე გადაწყვეტილება წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების განვითარებას ევროპის კავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც ეხება შვეიცარიის კონფედერაციის მონაწილეობას შენგენის კანონმდებლობის განხორციელების, გამოყენებისა და განვითარების პროცესში, რაც მიეკუთვნება 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის ბ პუნქტში აღნიშნულ სფეროს და განიხილება საბჭოს 2008/146/EC გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან<sup>(8)</sup> ერთობლიობაში, ევროგაერთიანების სახელით აღნიშნული ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

(13) რაც შეეხება ლიხტენშტეინს, წინამდებარე გადაწყვეტილება წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების განვითარებას ევროპის კავშირს, ევროპულ გაერთიანებას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტეინის სამთავროს შორის არსებული ოქმის მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც ეხება ლიხტენშტეინის სამთავროს მიერთებას ევროპის კავშირს, ევროპულ გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, შვეიცარიის კონფედერაციის შენგენის კანონმდებლობის განხორციელების, გამოყენებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობის შესახებ; რაც მიეკუთვნება 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის ბ პუნქტში აღნიშნულ სფეროს საბჭოს 2008 წლის 28 თებერვლის 2008/261/EC<sup>(9)</sup> გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, ევროგაერთიანების სახელით ხელმოწერასა და ზემოაღნიშნული ოქმის გარკვეული დებულებების დროებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

(14) წინამდებარე გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული ზომები შეესაბამება კომიტეტის მოსაზრებას, რომელიც ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის (EC) No 1987/2006 რეგულაციის 51-ე მუხლის 1-ელ პუნქტშია ჩამოყალიბებული და და მეორე თაობის

შენგენის საინფორმაციო სისტემის (SIS II)<sup>(10)</sup> შექმნას, ფუნქციონირებასა და გამოყენებას ეხება.

მიიღო წინამდებარე გადაწყვეტილება:

### *მუხლი 1*

სავიზო საინფორმაციო სისტემაში ბიომეტრიული იდენტიფიკაციისა და დადასტურებისთვის თითის ანაბეჭდების რეზოლუციასა და გამოყენებასთან დაკავშირებული მახასიათებლები დანართის შესაბამისად არის ჩამოყალიბებული.

### *მუხლი 2*

წინამდებარე გადაწყვეტილების ადრესატები არიან ბელგიის სამეფო, ბულგარეთის რესპუბლიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ესტონეთის რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო, საფრანგეთის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, კვიპროსის რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, უნგრეთის რესპუბლიკა, მალტას რესპუბლიკა, ნიდერლანდების სამეფო, ავსტრიის რესპუბლიკა, პოლონეთის რესპუბლიკა, პორტუგალიის რესპუბლიკა, რუმინეთი, სლოვენის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, ფინეთის რესპუბლიკა და შვედეთის სამეფო.

მომზადებულია ბრიუსელში, 2009 წლის 9 ოქტომბერს.

*კომისიის სახელით*

ჟაკ ბაროტი

Jacques BARROT

*ვიცე-პრეზიდენტი*

---

<sup>(1)</sup> [OJ L 218, 13.8.2008, გვ. 60.](#)

<sup>(2)</sup> [OJ L 213, 15.6.2004, გვ. 5.](#)

<sup>(3)</sup> [OJ L 267, 27.9.2006, გვ. 41.](#)

<sup>(4)</sup> [OJ L 131 1.6.2000, გვ. 43.](#)

<sup>(5)</sup> [OJ L 64, 7.3.2002, გვ. 20.](#)

<sup>(6)</sup> [OJ L 176, 10.7.1999, გვ. 36.](#)

<sup>(7)</sup> [OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31.](#)

<sup>(8)</sup> [OJ L 53, 27.2.2008, გვ. 1.](#)

<sup>(9)</sup> [OJ L 83, 26.3.2008, გვ. 3.](#)

<sup>(10)</sup> [OJ L 381, 28.12.2006, გვ. 4.](#)

---

## დანართი

### 1. თითის ანაბეჭდების რეზოლუცია

ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემა მიიღებს მხოლოდ 500 dpi (წერტილების რაოდენობა დუიმზე) +/- 5 dpi (დასაშვები გადახრით) ნომინალური რეზოლუციის 10 თითის ანაბეჭდის გამოსახულებას, ნაცრისფერის დონე - 256.

### 2. ათი თითის ანაბეჭდის გამოყენება ბიომეტრიული იდენტიფიკაციისა და ძიებისთვის

ცენტრალური სავიზო საინფორმაციო სისტემა ათივე თითის ანაბეჭდით ახორციელებს ბიომეტრიული მონაცემების ძებნას (ბიომეტრიულ იდენტიფიკაციას) (სიბრტყეზე) მაგრამ, როდესაც ყველა თითის ანაბეჭდი არ არის მოცემული, მათი იდენტიფიკაცია ხდება ANSI/NIST-ITL 1-2000 სტანდარტით და გამოიყენება დანარჩენი თითების ანაბეჭდები, მათი არსებობის შემთხვევაში.

### 3. ოთხი თითის ანაბეჭდის გამოყენება ბიომეტრიული შემოწმებისათვის

ცენტრალურ სავიზო საინფორმაციო სისტემას მონაცემებზე წვდომისთვის ბიომეტრიული შემოწმება ოთხი თითის ანაბეჭდით შეუძლია.

შეძლებისამებრ, გამოიყენება მარჯვენა ან მარცხენა ხელის შემდეგი თითების ანაბეჭდები: საჩვენებელი თითი (NIST იდენტიფიკაცია 2 ან 7), შუათითი (NIST იდენტიფიკაცია 3 ან 8), უსახელო თითი (NIST იდენტიფიკაცია 4 ან 9), ნეკა თითი (NIST იდენტიფიკაცია 5 ან 10).

ერგონომიკული, სტანდარტიზაციისა და ვიზუალიზაციის მიზნებისათვის, გამოიყენება თითის ანაბეჭდები ერთი და იგივე ხელიდან, მარჯვენა ხელიდან დაწყებით.

თითოეული თითის ანაბეჭდის გამოსახულებისთვის განისაზღვრება თითების განლაგება, როგორც ეს გათვალისწინებულია ANSI/NIST-ITL 1-2000 სტანდარტით.

როდესაც თითების პოზიციის ასეთი იდენტიფიკაცია შეუძლებელია ან აღმოჩნდება, რომ არასწორია, ეროვნულ სისტემებს შეუძლიათ, მოითხოვონ დადასტურება ცენტრალურ სავიზო საინფორმაციო სისტემაში „გადანაცვლებების“ გამოყენებით [\(2\)](#).

არარსებული ან შეხვეული თითების იდენტიფიცირება ყოველთვის ხდება იმის მიხედვით, როგორც ეს განსაზღვრულია ANSI/NIST-ITL 1-2000 სტანდარტით და სავიზო საინფორმაციო სისტემის საკონტროლო დოკუმენტით.

### 4. ბიომეტრიული შემოწმებისათვის ერთი ან ორი თითის ანაბეჭდის გამოყენება

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ბიომეტრიული შემოწმებისათვის ოთხი თითის ანაბეჭდის ნაცვლად, გამოიყენონ ერთი ან ორი თითის ანაბეჭდი.

სტანდარტულად, ანაბეჭდებისთვის გამოიყენება შემდეგი თითები:

(ა) ერთი თითი: საჩვენებელი თითი (NIST იდენტიფიკაცია 2 ან 7),

(ბ) ორი თითი: საჩვენებელი თითი (NIST იდენტიფიკაცია 2 ან 7) და შუათითი (NIST იდენტიფიკაცია 3 ან 8).

ამის გარდა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს:

(ა) ერთი თითი: ცერა თითი (NIST იდენტიფიკაცია 1 ან 6) ან შუათითი (NIST იდენტიფიკაცია 3 ან 8),

(ბ) ორი თითი:

- (i) საჩვენებელი თითი (NIST იდენტიფიკაცია 2 ან 7) და უსახელო თითი (NIST იდენტიფიკაცია 4 ან 9), ან
- (ii) შუათითი (NIST იდენტიფიკაცია 3 ან 8) და უსახელო თითი (NIST იდენტიფიკაცია 4 ან 9).

ერგონომიკული, სტანდარტიზაციისა და ვიზუალიზაციის მიზნებისათვის, გამოიყენება თითის ანაბეჭდები ერთი და იგივე ხელიდან, მარჯვენა ხელიდან დაწყებით.

თითოეული თითის ანაბეჭდის გამოსახულებისთვის განისაზღვრება თითების განლაგება, როგორც ეს გათვალისწინებულია ANSI/NIST-ITL 1-2000 სტანდარტით.

როდესაც თითების პოზიციის ასეთი იდენტიფიკაცია შეუძლებელია ანმცდარია, ეროვნულ სისტემებს შეუძლიათ მოითხოვონ შემოწმება ცენტრალურ სავიზო საინფორმაციო სისტემაში „გადანაცვლებების“ გამოყენებით.

არარსებული ან შეხვეული თითების იდენტიფიცირება ყოველთვის ხდება იმის მიხედვით, როგორც ეს განსაზღვრულია ANSI/NIST-ITL 1-2000 სტანდარტით და სავიზო საინფორმაციო სისტემის საკონტროლო დოკუმენტით.

---

[Ⓛ](http://www.itl.nist.gov/ANSIASD/sp500-245-a16.pdf) ANSI/NIST-ITL 1-2000 სტანდარტი „თითის ანაბეჭდის, სახის, ნაიარვეისა და ტატუს შესახებ ინფორმაციის გაცვლისთვის მონაცემთა ფორმატი“, იხ.: <http://www.itl.nist.gov/ANSIASD/sp500-245-a16.pdf>

[Ⓛ](#) გადანაცვლებები მიუთითებს ცენტრალურ სავიზო საინფორმაციო სისტემას საწყის/თავდაპირველ თითის ანაბეჭდს/ანაბეჭდებსა (ერთი, ორი, სამი ან ოთხი) და ყველა არსებულ სავარაუდო თითის ანაბეჭდს (უმთავრესად, ათი) შორის განმეორებადი შემოწმების შესრულების შესახებ, სანამ არ მოხდება დადებითი შემოწმება ან არ იქნება მოძებნილი ყველა სავარაუდო თითის ანაბეჭდი დადებითი შემოწმების წარმოების გარეშე.

---